იდენტობის ფორმირება, აკადემიური მოტივაცია და აკადემიური ჩართულობა

ხათუნა ბაკურაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხათუნა ბაკურაძე

06.07.2020

მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, რომლის მხარდაჭერასაც ვგრძნობდი ნაშრომზე მუშაობის ყველა ეტაპზე. მადლობა მას მორალური მხარდაჭერისთვის, უკუკავშირისთვის, მნიშვნელოვანი პროფესიური რჩევებისთვის და თანამშრომლობისთვის.

აბსტრაქტი

მოზარდების სწავლით დაინტერესება მსოფლიო მასშტაბით აქტუალური და მეტად რთული საკითხია. მრავალი კვლევაა ჩატარებული მოზარდების და აკადემიური ჩართულობისა და მოტივაციის შესახებ, თუმცა საკითხი დღემდე აქტუალურია. კვლევებმა დაადასტურეს, რომ მოსწავლის სწავლისადამი გულგრილი დამოკიდებულება დაკავშირებულია ძირითად ორ მიზეზთან, ესენია: მოტივაციის ნაკლებობა და იდენტობის აღრევა.

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზნი იყო შეესწავლა აკადემიური მოტივაცია და აკადემიური ჩართულობა იდენტობის პერსპექტივიდან და ეპასუხა კითხვაზე არის თუ არა კავშირი იდენტობის ფორმირებას, აკადემიურ მოტივაციასა და აკადემიურ ჩართულობას შორის. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 144-მა 13-იდან 19-წლამდე მოსწავლემ.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ იდენტობის სინთეზის მაღალი ხარისხი კავშირშია თვითდეტერმინირებული აკადემიური მოტივაციის და აკადემიური ჩართულობის მაღალ (ოთხივე ასპექტის) და ამოტივაციის დაბალ მაჩვენებელთან, ხოლო იდენტობის აღრევის მაღალი ხარისხი კავშირშია ამოტივაციის მაღალ და აკადემიური ჩართულობის (ოთხივე ასპექტის) დაბალ მაჩვენებელთან.

ნაშრომში დეტალურად არის ახსნილი თუ რას წარმოადგენს იდენტობა, აკადემიური მოტივაცია და აკადემიური ჩართულობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იდენტობის ფორმირება, აკადემიური მოტივაცია, აკადემიური ჩართულობა.

Abstract

It is a complex and challenging issue across the world to increase students interest in learning. Numerous studies have been conducted on adolescents academic engagement and motivation, however, the issue is still relevant. Studies have shown that student indifference to learning is linked to two main reasons: lack of motivation and confusion of identity.

The main purpose of the present study was to examine academic motivation and academic engagement from an identity perspective and to answer the question of whether there is a link between identity formation, academic motivation, and academic engagement. 144 students aged 13 to 19 participated in the study.

The results of the study showed that identity synthesis is positively related to self-determined academic motivation and academic engagement and negatively related to amotivation. Further, identity confusion is positively related to amotivation and negatively releated to academic involvement (all four aspects).

The paper explains in detail what identity, academic motivation and academic engagement are.

Keywords: identity formation, academic motivation, academic engagement.